ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 19

სხდომის ჩატარების დრო:

31 მაისი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეცხრამეტე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.გიორგაძე, კ.გურული, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან - 31 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, გრ.შუშანია, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 4 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: დ.ერემეიშვილი და ი.უგულავა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღების, საქმისწარმოებისა და საქმიწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ქალბატონი ე.ნიკიფი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი პ.ადამაძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი დ.ინანეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ა.ჩიხლაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი ვ.სილაგაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის

სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოქალაქეები: თ.ბრეგაძე, ი.ქორიძე, მ.მუმლაძე.

დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე, სხდომაზე საკრებულოს წევრების მიერ გაკეთდა განცხადებები სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით. ამასთან, გაიმართა ცხარე შეკამათება უმრავლესობისა და საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებს შორის.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მოგესალმებით მეგობრებო. დიდი ინტერესია დღეს სხდომაზე მედიის წარმომადგენლების მხრიდან. ვიდრე სხდომას გავხსნიდე, მინდა, დღევანდელი დღე მივულოცო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, პოლიციელებს. მათი საქმიანობა ყოველდღიურად დაკავშირებულია გარკვეულ საფრთხეებთან. ისინი უზრუნველყოფენ ჩვენს მშვიდობიან გარემოს. მათი როლი ქვეყნის მშენებლობის პროცესში არის დიდი. მინდა წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ გარდაცვლილი პოლიციელებისა და სამართალდამცავების ხსოვნას (საკრებულოს წევრებმა და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილი პოლიციელებისა და სამართალდამცავების ხსოვნას).

აქვე მინდა გითხრათ, რომ შუალედურ არჩევნებში, ავტომშენებლის ოლქში ჩვენმა წარმომადგენელმა, ბატონმა მიხეილ გიორგაძემ გაიმარჯვა. მისი სამართლებრივი ლეგიტიმაცია ცნობილია არჩევნების შედეგად. მინდა, მივულოცო ბატონ მიხეილს გამარჯვება. ის ძალიან მგრძნობიარე ადმინისტრაციული ერთეულის და უამრავი ადამიანის ინტერესს წარმოადგენს საკრებულოში და მოქალაქეებს ექნებათ საშუალება, თავიანთი ინტერესები განახორციელონ მასთან კომუნიკაციით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „დიდი კონკურენცია იყო ალბათ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ქალბატონ ანას მინდა გავცე პასუხი. საკმაოდ მაღალი ლეგიტიმაცია იყო.

მაღალი ლეგიტიმაცია ნიშნავს, რომ კანდიდატმა, საკმაოდ მაღალი ხმების რაოდენობა დააგროვა. თქვენმა კანდიდატმა მიიღო 4 400 ხმა წინა არჩევნებზე. ჩვენმა კანდიდატმა მიიღო 5 400 ხმა. ანუ ლეგიტიმაციას გამოვხატავ ციფრებში და კანდიდატმა მიიღო 100 ხმაზე მეტი. თქვენც უნდა მიულოცოთ საკრებულოს წევრს და წარმატებები უსურვოთ უფლებამოსილების განხორციელებაში. აქვე მინდა, მივესალმო იმ მოცემულობას, რომ თქვენ საკრებულოს საქმიანობაში გადაწყვიტეთ მონაწილეობის მიღება. თუ არ ვცდები, დეკემბრის თვიდან დღემდე, თქვენ საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა არ მიგიღიათ. ვფიქრობ, რომ არ იცავდით იმ მოქალაქეების ინტერსს, რომლებმაც მანდატი გადმოგცათ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე**: „თქვენ არ დაელოდეთ სასამართლო გადაწყვეტილებას და არჩევნები ავტოქარხანაში ჩაატარეთ სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენმა ფრაქციამ, რომლის მეშვეობითაც დააინიცირეთ საკრებულოდან სარჩელი, არა ერთხელ მიიღო პასუხი და მათ შორის სამართლებრივი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღეთ სასამართლოს მხრიდან. ჩვენგან დამოუკიდებლად ცსკო მოქმედებს თავისი სამართლებრივი ჩარჩოდან გამომდინარე. მე არ დამინიშნავს არჩევნები. არჩევნები დანიშნა ცსკომ და არჩევნების შედეგად გაიმარჯვა ბატონმა მიხეილმა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე**: „თქვენ მიერ სანქცირებული მოსამართლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „სასამართლო უწყება არის დამოუკიდებელი ხელისუფლება. მის გადაწყვეტილებას ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში პატივი უნდა ვცეთ. წაიკითხეთ სტატისტიკა, ნახეთ მოქალაქეთა მიმართვიანობა სასამართლოებისადმი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ისეთი, როგორიცაა: „USAED" და სხვები."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ეთანხმებით თუ არა გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღო სახელმწიფო დეპარტამენტმა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გაგეცით პასუხი მე მგონი და ჩამოვაყალიბე ჩემი პოზიცია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მინდა დავიწყო შეხსენებით, რომ საქართველოს მოქალაქეთა 99% მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას. ჩვენ ყოველდღიურად ვისმენთ ანტიევროპულ, ანტიდასავლურ საუბრებს ხელისუფლების მხრიდან. თქვენი ხელისუფლების პრორუსული რიტორიკა კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, თუ საით მიგვაქანებთ. ამის დადასტურებაა, პუტინის ეგრეთ წოდებული საჩუქარი ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით, პრემიერ - მინისტრის დაუფარავი რიტორიკა და მისი გამოსვლები ქვეყნისთვის მნიშვნელოვან შეხვედრებსა და ფორუმებზე. ერთია, როდესაც აპელირებ მშვიდობით და სუვერენიტეტით და მეორე, თუ რას აკეთებ ამისთვის. მშვიდობა და სუვერენიტეტი შეუთავსებელია რუსეთთან. ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტმა 2003 წელს აღმართა ევროკავშირის დროშა და დააჩქარა ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესი. ევროინტეგრაციისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია პოლიტ პატიმრების თავისუფლება. საქართველოს მოქალაქეები არ დაუშვებენ ქვეყნის რუსიფიკაციას. დღეს სხდომაზე არ ბრძანდება ბატონი მერი. მის მოვალეობას ასრულებს მერის მოადგილე. მინდა, მოგმართოთ კითხვით, რამ განაპირობა ევროკავშირის დროშის ამოღება 26 მაისის ღონისძიებიდან. 2022 წელს, ევროკავშირის დროშა იყო ყველა ღონისძიებაზე წარმოდგენილი. აქვე ვიტყვი, უნდა გათავისუფლდეს აუცილებლად საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ე.არჩაია** (პოლიტიკური პარტია „გახარია საქართველოსათვის“): „ძვირფასო კოლეგებო, მოგმართავთ ინიციატივით უფასო მუნიციპალურ სასკოლო კვებასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ,

თუ რამხელა გამოწვევაა ბავშვთა სიღარიბე საქართველოში. სიღარიბის მაჩვენებლის მიხედვით, ბავშვები მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ფენას წარმოადგენენ. სამწუხაროდ, მათ დიდ ნაწილს ასაკის შესაბამის კვების რაციონთან წვდომა არა აქვს. იუნისეფისა და საქსტატის ერთობლივი 2023 წლის კვლევით დგინდება, რომ ბავშვების მესამედზე მეტი (34.9%) არასდროს იკვებება სასკოლო საათების პერიოდში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაც („WHO“) ადასტურებს, რომ დაბალანსებული კვება მოსწავლის ფიზიკური, მენტალური, ემოციური და კოგნიტური განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. დღეს, 160-ზე მეტ ქვეყანაში მოსწავლეები სკოლაში უფასოდ იკვებებიან. სწორედ ამიტომ მოგმართავთ ინიციატივით, განათლების სამინისტროსთან კოორდინაციით დაინერგოს უფასო კვების პროგრამა ქუთაისში. მოგეხსენებათ, მსგავსი პროგრამების მრავალი ფორმა არსებობს, თუმცა ვთვლით, რომ ქუთაისისთვის ყველაზე ოპტიმალური სადილის ყუთის ე.წ. „ლანჩბოქსის“ მოდელი იქნება. მერიის მიერ ტენდერის საშუალებით შერჩეული პირი (პირები), მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებს, წლის განმავლობაში სასწავლო დღეებში მიაწვდიან მოსწავლისათვის განკუთვნილ ინდივიდუალურ სადილის ყუთებს, რომელთა შიგთავსის განსაზღვრა ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდება. პროგრამით სარგებლობა უნდა შეეძლოს საჯარო სკოლების დაწყებითი საფეხურის ყველა მოსწავლეს, სოციალური სტატუსის მიუხედავად. პროგრამის დანერგვა ხელს შეუწყობს ხარისხიან განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობისა და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების კვებით უზრუნველყოფას. მესმის, რომ სასკოლო განათლების საფეხური, მუნიციპალიტეტის პრეროგატივას არ წარმოადგენს, თუმცა ჩვენს ბავშვებზე და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ყველა ჩვენგანის მოვალეობაა. დარწმუნებული ვარ, არსებობს გზები განათლების სამინისტროსთან კოორდინაციით, მოვახდინოთ პროგრამის დანერგვა ჩვენს ქალაქში. მაქვს იმედი, რომ დაინტერესდებით წამოყენებული ინიციატივით და დავიწყებთ პროგრამის საფუძვლიან მომზადებას. მნიშვნელოვანია, როგორც თქვენი, ისე ქალაქის მერიის, ცენტრალური ხელისუფლებისა და ბავშვთა

საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობა. ვფიქრობ, საერთო ძალისხმევით შევძლებთ ჩვენი ბავშვების ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „მივესალმები დამსწრე საზოგადოებას. მე გამოვეხმაურები „ნაციონალური მოძრაობის“ იმ წინადადებას, რომ განთავისუფლდეს საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მათთვის დღესაც მთავარსარდალი. სასამართლომ თქვენ გითხრათ დამაჯერებლად, რომ სააკაშვილი არ არის პოლიტიკური პატიმარი. ეს არის თქვენი სახე. სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს მისი ჯანმრთელობისათვის, მისი სიცოცხლისათვის. მეორე საკითხი, თქვენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ხართ წყობიდან გამოსულები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი:** „თქვენ 7-8 მარტს ახალგაზრდები სისხლში გვაბანავეთ რუსთაველის გამზირზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)**:** „ძმათა სისხლს არ შეგარჩენთ. მოღალატეებო!“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი:** „უნდა გათავისუფლდეს საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი და მთავარი არხის გენერალური დირექტორი, ნიკა გვარამია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „ნაციონალური მოძრაობა“ დამოკიდებული ხართ ვანო მერაბიშვილის იდეოლოგიაზე, კეზერაშვილის მორდიორობით ნაშოვნ ფულზე და ხაბეიშვილის ხელმძღვანელობაზე. ეს არის ამათი დემოკრატია. რომელ დემოკრატიაზე გვესაუბრებიან ესენი?“

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გ.ბასილაძე:** „ამათ უნდათ პროვოკაციის მოწყობა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)**:** „თავმოყვარეობას მოუხმეთ. არ შეიძლება ერთი წელი ვუსმინოთ თქვენს ბოდვებს. მაგის გამო არ აურჩევიხართ ხალხს. თქვენ არ გაქვთ უფლება, ლანძღოთ მესამე პრეზიდენტი, რომელიც სიკვდილს ებრძვის. არ მოგცემთ ამის უფლებას. ხელფასს გაძლევენ ალბათ ამაში. ეს ქვეყანა ჩემი შვილისთვის მინდა, თქვენი შვილებისთვისაც მინდა. არ მოგცემთ უფლებას, აქ ვაქეიფოთ რუსები. “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე:** „შეგახსენებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს გაუქმდა სავიზო რეჟიმი რუსეთთან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი:** „რუსეთისკენ მიგვაქანებთ ყოველდღიურად. გავრილოვის ღამეს ახალგაზრდა თაობას თვალები დათხარეთ. ახალგაზრდა გოგოს გავრილოვის ღამეს თვალი ამოთხარეთ. 7 მარტს, რუსული კანონი მიიღეთ და ახალგაზრდებს თვალები დათხარეთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „არ შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობით აპელირება. უხერხულია მინიმუმ. ასეთ რეჟიმში მუშაობა წარმოუდგენელია. მე პატივი მინდა ვცე, ქალბატონი ანას სამსახიობო ნიჭს. ბატონ თედოს, რომ წარმოაჩინოს თავისი თავი, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდა აქტივისტმა. პატივი ეცით მოქალაქეებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მ.ჭოხონელიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“)**:** „მოვუსმინოთ ერთმანეთს. ჩვენც გვიყვარს ჩვენი სამშობლო. კონკრეტულად მე ან რომელიმე ჩვენთაგანს ვინ ეკითხება ადამიანის ციხიდან გამოშვებას, ჩვენ რომ გვთხოვთ. გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი:** „დასანქცირებულმა მოსამართლეებმა მიიღეს გადაწყვეტილება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „როგორც სხდომის თავმჯდომარე, გთხოვთ, შევიკავოთ თავი ხმაურისგან. აპარატს გთხოვთ, გათიშოთ მიკროფონები იქეთ მხარეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი:** „ოპოზიციონერ დეპუტატებს გვითიშავთ მიკროფონებს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „გვამებზე მოსიარულე მერაბიშვილის იდეოლოგიას მიხედეთ თქვენ.“

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გ.ბასილაძე:** „მოგიწოდებთ სიმშვიდისკენ. გთხოვთ, არ აყვეთ პროვოკაციას. ესენი მხოლოდ ამიტომ არიან შემოსული სხდომაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე**: „მადლობა ბატონო გია, ძალიან მნიშვნელოვანი გამოსვლა იყო სიტყვით თქვენი საკრებულოში ყოფნის მანძილზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მომეცით საშუალება, რომ სხდომა წარვმართო. მუქარით არაფერი გამოგივათ, არც ყვირილით, არც იმით, რომ ვიღაცას მოღალატეები ეძახოთ. მოისმინეთ განსხვავებული პოზიცია, განსხვავებული აზრი. არ ეთანხმებით, მესმის, მაგრამ პატივი ეცით განსხვავებულ აზრს. მოვისმინოთ ერთმანეთის აზრი, გაქვთ პოზიცია, გამოხატეთ. ჩვენ ყველამ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ყველამ ერთად მივაღწიოთ შედეგს ევროინტეგრაციის გზაზე. ჩვენ და თქვენ, ყველამ ერთად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ,

სახელმწიფო სტრუქტურებმა, მათ შორის ადგილობრივმა თვითმმართველობამ, რომ ჩვენი ქვეყანა გახდეს სრულფასოვანი წევრი. დავასრულოთ ამაზე საუბარი. ამაზე ყველანი ვთანხმდებით და გადავიდეთ დღის წესრიგის განხილვაზე."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „გაეცით პასუხი ქალბატონი ხათუნას შეკითხვას, რატომ არ იყო ევრო კავშირის დროშა 26 მაისის ღონისძიებებზე წარმოდგენილი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მინდა მოქალაქეების საყურადღებოდ განვაცხადო. 26 მაისს მედიის წარმომადგენლებს საკმაოდ ღიად განვუცხადე, 26 მაისი არის ეროვნული დღესასწაული. ჩვენი ეროვნული სიმბოლიკა არის ქართული დროშა. ქართული დროშა იყო იმ დღის განმსაზღვრელი. ეროვნული დღესასწაული აღინიშნება ეროვნულ სიმბოლიკებთან ერთად, დროშასთან და გერბთან ერთად. 2022 წელს ქონდა სახელმწიფოს სხვა სლოგანი ამ დღესთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა გააკეთა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე, ჩვენ ამ დღესთან ერთად შევიმუშავეთ სლოგანი: „წინ ევროპისაკენ". ახლანდელი 26 მაისი იყო სახელმწიფო სიმბოლიკებთან ერთად აღნიშნული. თქვენ თუ რამე ფორმით აპროტესტებთ სახელმწიფო სიმბოლიკებთან ერთად 26 მაისის აღნიშვნას, ეს თქვენი გადასაწყვეტია. რაც შეეხება ევროკავშირის დროშას, მე ვფიქრობ, რომ რაც თქვენ გააკეთეთ დღეს, დროშის მიმართ უპატივცემულობაა. ამ დარბაზში ევროკავშირის დროშაც არის განთავსებული და საქართველოს დროშაც."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე**: „თქვენ მოუნდით სამი წელი დროშის დაკიდებას ნიკეას ქუჩაზე, დროშის უპატივცემულობა ესაა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **რ.ქვაჩაკიძე:** „ჩვენ თუ დამოუკიდებლები ვართ, ეს ევროკავშირის დამსახურებაა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გადავიდეთ დღის წესრიგის განხილვაზე. სამწუხაროდ, არ მაქვს ტექნიკური საშუალება, რომ თქვენი გახმოვანება შევზღუდო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი:** „ვერ გაგვაჩუმებთ, ბატონო ირაკლი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „არ გაჩუმებთ. ეს თქვენი წესი იყო 2012 წლამდე. აჩუმებდით ადამიანებს. დეპუტატებს ვთხოვ, გადავიდეთ დღის წესრიგის განხილვაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი:** „აქ არიან მოქალაქეები ნიკეას ქუჩის 40 გ-დან, სოციალური საცხოვრისის ბინადრები და მოვუსმინოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ვიცით, ჩვენთვის ცნობილია. იქნებ თქვენ სათქმელს ვამბობ, მაცადეთ საუბარი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი:** „მოვუსმინოთ ამ მოქალაქეების შეკითხვებს. ხომ შეიძლება გადადოთ კენჭისყრა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მ.ჭოხონელიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“): „არსებობს დარგობრივი კომისიები ამ საკრებულოში. როდესაც კონკრეტული „ქეისია“ განსახილველი, ჩვენ მზად ვართ, მოვისმინოთ. მაინც და მაინც უნდა იყოს პრესა, ტელევიზია, რომ თქვენ ეს საკითხი გააჟღეროთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე**: „ან პოპულისტი უნდა ვიყო

და ან ვმანიპულირებდე? დანიშნული ქალაქის მერი შეხვედრიდან გაიქცა. გაიქცა მას შემდეგ, როგორც კი დაინახა ეს ქალბატონები, რომლებიც დარბაზში არიან და მე მათთან ერთად.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი:** „ბატონო ირაკლი, თქვენ ესაუბრეთ ბატონ ანტონს, სოციალურ საცხოვრისთან დაკავშირებით? ბატონ ანტონს გამორთული აქვს ტელეფონი. ვერ უკავშირდებიან ეს ქალბატონები. ბატონო ანტონ, თქვენ დაგირეკათ ქალბატონმა იზომ და არ უპასუხეთ. ბატონმა ანტონმა დაბლოკა ეს აბონენტები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი შენგელიას წინადადებით, ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში: 11-მა წევრმა: გ.კილაძემ, ხ.არველაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნიამ, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ა.კოხრეიძემ) , გამოცხადდა შესვენება 15 წუთით.

შესვენების დასრულების შემდეგ, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიერ, სხდომაზე კვლავ გაგრძელდა ხმაურიანი გამოსვლები. **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** ოპოზიციური ფრაქციის წევრებს რამდენჯერმე მოუწოდა წესრიგისაკენ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა **თ.მესხმა** მერამდენეჯერ გამოხატა აღშფოთება სოციალურ საცხოვრისთან დაკავშირებით**:** „სოციალურ საცხოვრისში მილიონი ლარია გადახდილი და ინგრევა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დ.ერემეიშვილი:** „ბატონო თედო, თქვენ რომ ლაივებს იღებდით, მაშინ მერია სასტუმროებს ეძებდა ამ ადამიანებისათვის. იმის გამო, რომ შენ იქ ორი დღის განმავლობაში იყავი, არაფერი გაგიკეთებია მაგ ხალხისთვის. ადამიანები, ვისაც ქონდათ პრობლემა, უკვე ორ საათში გაიყვანეს შენობიდან. იმას რატომ არ ამბობ, რომ 15 ოჯახი გავიყვანეთ და ქირას ვუხდით

მთელი ამ ხნის განმავლობაში. იმიტომ, რომ ზოგიერთმა თქვენიანმა მუშებს არ მისცეს საშუალება, იმ სახლებში რემონტი გაეკეთებინათ. ამის შემდეგ თქვენ დაპირდით, პირადად ამ ქალბატონებს, რომ გუგუნავაზე არსებულ საცხოვრისში შეგასახლებთო და მანდ მუშები არ შეუშვათ, რომ სამუშაოები განახორციელონო. თქვენი ლოგიკით, ჩვენ რასაც ვამბობთ, ყველაფერი ტყუილია და თქვენ რასაც ამბობთ, ყველაფერი მართალი. გაქვს ინფორმაცია, რამდენჯერ მივიდა შემსრულებელი კომპანია ადგილზე და რამდენჯერ გამოაგდეს უკან?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა **მ.სიმონიძემ** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“) უკმაყოფილება გამოხატა სხდომაზე არსებული დაძაბული და ხმაურიანი სიტუაციის გამო და საკრებულოს თავმჯდომარეს სხდომაზე წესრიგის დამყარებისაკენ მიუთითა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი შენგელიას მიერ სხდომაზე დაძაბული სიტუაციის შედარებით განმუხტვის შემდეგ, სხდომის მუშაობა გაგრძელდა საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-19 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2023 წლის 31 მაისის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**საკრებულოს მე-19 სხდომის დღის წესრიგის პროექტს მეორე ნომრად დაემატა საკითხი „საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. .ამასთან, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის დასკვნის საფუძველზე, დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებულ იქნა მე-8 საკითხი - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე პავლე ასათიანისათვის**

სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 თებერვლის №360 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მისი უკეთ შესწავლის მიზნით; მე-5 - დან მე -12 საკითხის ჩათვლით, სამართლებრივი აქტების პროექტების წარმომდგენ პირად ქალბატონ თინათინ ბერიშვილის ნაცვლად განისაზღვრა ბატონი ვალერიან სილაგაძე მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-19 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

2. „საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დემურ ინანეიშვილი
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული
პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“
უფროსი

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2023 წლის მაისი) გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი პეტრე ადამაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი

სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის
ხელმძღვანელი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წელსა და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ანტონ ჩიხლაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო
ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის
ხელმძღვანელი

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნეტლინკისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

9. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი

სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

10. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

11. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

12. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით,

უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-19 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს მე-19 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ბ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი; კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 9 წევრმა: ხ.არველაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნიამ, ქ.ხურციძემ, ლ.შალამბერიძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ა.კოხრეიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-19 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

ამის შემდეგ, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** მიმართა სხდომაზე დამსწრე მოქალაქეებს: „მე მინდა, აქ მყოფ მოქალაქეებს ავუხსნა. მათთან არაერთხელ მქონია კომუნიკაცია და ამას თავად მოქალაქეები დაადასტურებენ. აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად ბევრჯერ მიმსჯელია მათთვის ალტერნატიული ფართის მოძებნის შესახებ. ამ მსჯელობის შედეგად, მათ აქვთ ალტერნატიული ფართი, სადაც ცხოვრობენ. რაც შეეხება საცხოვრისის თემას, იქ, რა თქმა უნდა, პრობლემა არსებობს. სამართლებრივი შეფასება

რაც აქვს, იცით, ძიებაშია ეს პროცესი. ჩვენ წელსვე დავასრულეთ ახალი საცხოვრისის მშენებლობა, შესაბამისი კომისიაა შექმნილი, რომელიც უზრუნველყოფს მერიის მიერ ამ ფართებში მოქალაქეების შესახლებას. თუ რამე საფრთხის შემცვლელი ფაქტი იქნება, მე ვიქნები თქვენ გვერდით. ჩვენ აუცილებლად მოვახერხებთ იმას, რომ თქვენი ეს პრობლემა საბოლოოდ აღმოვფხვრათ. თქვენ, ჩვენგან უყურადღებობას ნამდვილად ვერ იგრძნობთ. არ შეიძლება თემებით მანიპულირება ბატონებო, თემებით, რომლებსაც აქვთ ადამიანური კავშირები. ეს ადამიანები არიან თქვენს გვერდით და არ შეიძლება ვიფიქროთ ამ ადამიანების საშუალებით პოლიტიკურ სარგებელკზე. ჩვენ აუცილებლად ვიქნებით ამ ადამიანების მხარეს. ძალიან გთხოვთ, გავაგრძელოთ სხდომა დამტკიცებული დღის წესრიგით. სხდომას ამ ვითარებაში ვერ წარვმართავთ. რაც შეეხება ამ მოქალაქეებს, სიტყვას სხდომის ბოლოს მივცემთ და შემდეგ ჩემს სამუშაო ოთახშიც მოვუსმენ, მაგრამ თქვენ იყენებთ ამ ტექნიკურ საშუალებებს და ყვირით მიკროფონებთან.“

ამის შემდეგ, დაიწყო სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

მან აქვე აღნიშნა: „მედიის წარმომადგენლებს, როდესაც ამ პოლიტიკურ პრეზენტაციებს აშუქებთ, მინდა ღიად გითხრათ ერთი რამ, აი, ამ ყველაფერზე პასუხი არის ეს დოკუმენტი, რომელსაც წარმოგიდგენთ. ეს დოკუმენტი ინიცირებულია

დარგობრივი კომისიის მიერ და საკრებულოს უმრავლესობით. მე ვფიქრობდი, რომ ამ დოკუმენტს დღეს თქვენ პატივს სცემდით. ზოგადად, ეთიკის ნორმებზე შევთანხმდებოდით. ამ დოკუმენტში ღიად არის ყველაფერი ნათქვამი, რომელიც ეხება საჯარო პირის ქცევის წესებს. მათ შორის გამოხატვას."

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, კ.გაბუნია, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: საკრებულოს 19 წევრი; კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 10-მა წევრმა: გ.კილაძემ, ხ.არველაძემ, გ.მანაგაძემ, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ა.კოხრეიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ" **დადგენილება №65** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი**

შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსმა, ბატონმა **დემურ ინანეიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.კილაძე**: „ეს ცვლილება კონკრეტული ვანდალიზმის ფაქტს ეხება? უფრო სიღრმეში, რომ წავიდეთ, 2013 წელს მიღებულ იქნა პოლიტიკური გადაწყვეტილება, ამის გამო ადამიანები დაწინაურდნენ და საკრებულოს წევრები გახდნენ. მე ვფიქრობ, აღნიშნული სანქციები მიმართული იქნება იმ ადამიანების მიმართ, ვინც ოპოზიციურად არის განწყობილი. ჩვენ გვახსოვს, როგორ დააჯარიმეთ მოქალაქეები „სტიკერის“ გაკვრისათვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „ამათ არ ახსოვთ, 2012 წელს როგორ შემოგვივარდნენ ოფისში და როგორ ჩამოგვალეწეს ოფისის ფანჯრები თავზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა **ა.კოხრეიძემ** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) გააკეთა **განცხადება:** „ორ საკითხთან დაკავშირებით მსურდა საუბარი. ერთი შეეხება მიუსაფარ ძაღლებს, რომლებმაც ლამის დაჭამეს მოქალაქეები და მეორე - ნიკეას ქუჩაზე, მე-17 სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მსურდა საუბარი, მაგრამ ამის საშუალება არ მომეცა და უნდა დაგტოვოთ.“ ამის შემდეგ, მან სხდომა დატოვა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ ქალაქში ბევრი ვანდალიზმის ფაქტი გვაქვს. ამ საკითხის რაღაც ფორმით ადმინისტრირება უნდა მოხდეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ჯ.ბიბილეიშვილი, მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, ხ.არველაძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: საკრებულოს 18 წევრი; წინააღმდეგი: საკრებულოს 4 წევრი: კ.გაბუნია, რ. ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე; კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 5-მა წევრმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, ქ.ხურციძემ, ლ.შალამბერიძემ, თ.მესხმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსის, **დემურ ინანეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №66** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2023 წლის მაისი) გაწეული მუშაობის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის **ანგარიში** მიმდინარე მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ (2021 წლის დეკემბერი - 2023 წლის მაისი) წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **პეტრე ადამაძემ.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ყველაფერი იდეალურადაა, რომ ყველაფერი ისეა, როგორც ჩვენ გვინდა, თუმცა ყველაფერი უკეთესობისკენაა. ვიცით ქარმა დააზარალა მოსახლეობა. მათ შორის, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანები, ის ბავშვები და დედები, რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლნი. დიდი მადლობა ადმინისტრაციას. მე ვფიქრობ, რომ ახალგაზრდები, უფრო უკეთესად აკეთებენ საქმეს. ჩვენ ერთად ბევრი საქმე გვაქვს დასახული. ვფიქრობ, ერთობლივი ძალისხმევით მივალთ იმ შედეგებამდე, რომელიც ქუთაისს ეკადრება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე:** „მე მინდა ამ სამსახურისა და მისი თითოეული თანამშრომლის მიმართ მადლიერება გამოვხატო, ვინაიდან ეს ადამიანები არიან პირველები, რომლებიც ახდენენ ცხელი წერტილების მოკვლევას და შემდეგ ჩართულები არიან პრობლემების აღმოფხვრაში. პანდემიის დროს, ეს ადამიანები მიდიოდნენ საჭიროებების მქონე პირებთან. მადლობა მინდა გადავუხადო მთელს სამსახურს და მის თითოეულ თანამშრომელს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „ძალიან მოკლედ ვიტყვი. ჩემი პატივისცემა ბატონ პეტრეს და მის გუნდს. ადმინისტრაციული ერთეულები მართლა იმ რგოლს წარმოადგენენ, რომლებიც ყველაზე მწვავე პრობლემების შესახებ პირველები იღებენ ინფორმაციას მოსახლეობისაგან. ამის შემდეგ, ჩვენ ყველანი ვართ ჩართულნი

პრობლემის გადასაჭრელად. ძალიან დიდი მადლობა ამ თანამშრომლობისათვის, იმ სტატისტიკისათვის, რაც თქვენ დადეთ. მოსახლეობამ ინფორმაციულად უნდა იცოდეს თქვენი საქმიანობის შესახებ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ბ.ქვაჩაკიძე:** „სოციალური საცხოვრისის საკითხი გადაგვადებინეთ და ჩვენ აქ მადლობები უნდა ვისმინოთ, პარტიის დავალება ვინ რა გააკეთა? ამ ხალხს გაეცით პასუხი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე:** „ბატონებო, თქვენ 6 თვის მანძილზე მონაწილეობა არ მიგიღიათ არც ერთი საკითხის განხილვაში, არც კომისიის, არც ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე. თუ რაიმეს უწუნებთ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ უყურადღებობაში მათ ვერ დაადანაშაულებთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი:** „ჩვენ ვხვდებით მოქალაქეებს. დაგვეთანხმებიან საცხოვრისის მობინადრეები. რაც შეეხება ბატონ ანტონს, მასთან ზარი შეუშვა ქალბატონმა იზომ, მოქალაქეს, რომ ტელეფონს დაუბლოკავ... სხდომაზე მოქალაქეები გვესწრებიან. მოუსმინეთ მათ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო თედო სიტყვა ითხოვეთ? როდესაც გსურთ პასუხი გასცეთ დეპუტატს, მიმართეთ სხდომის თავმჯდომარეს. ეს არის ელემენტარული ზრდილობა. ქალბატონებს სიტყვას მივცემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ. მათ ყოველთვის მოვუსმენ, სხდომაზეც, ჩემ ოფისშიც და ჩემ სამუშაო კაბინეტში. პირადად გავესაუბრები. სხდომის დასრულებამდე მათ შეუძლიათ ჩემ სამუშაო ოთახშიც მოისვენონ.“

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიშის თაობაზე

განკარგულების პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძემ, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: საკრებულოს 18 წევრი; კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 8 წევრმა: გ.კილაძემ, ხ.არველაძემ, გ.მანაგაძემ, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, თ.მესხმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2023 წლის მაისი) გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება № 191** ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებმა საკრებულოს სხდომა დატოვეს.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - „**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წელსა და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის **ანგარიში** 2022 წელსა და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ანტონ ჩიხლაძემ.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო ანტონ, პირველ რიგში უნდა გამოვეხმაურო რამდენიმე საკითხს. როგორც იცით, ქუთაისში საერთაშორისო ფორუმი ტარდება. ამ ფორუმის მნიშვნელოვანი აქცენტი არის დეცენტრალიზაციის პოლიტიკა. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ამ პოლიტიკას მხარი აუბას ბიზნესმაც. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ბიზნესს, რომ რეგიონების და ქალაქების დონეზე თავისი საქმიანობის დეცენტრალიზება მოახდინონ. ძალიან მნიშვნელოვანია 2022-2023 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები. ერთი მარტივი მაგალითი უნდა მოვიყვანო. ნიკეა - ვაკისუბნის დამაკავშირებელი მონაკვეთის რეაბილიტაცია დასრულდა. ჩვენ ვხედავთ, რაოდენ დიდია ბიზნეს ინტერესი კონკრეტულ მონაკვეთზე. რამდენიმე დღის უკან, ჩვენ ვიხილეთ ახალი ობიექტი, რომელიც სამშენებლო ბიზნესში მოქმედებს. კონკრეტულ ბიზნესს დასაქმებული ყავს 50-მდე მოქალაქე. სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ მეტი ინფრასტრუქტურის ნაწილში. მე ვფიქრობ, საკმაოდ ბევრი იქნა გაკეთებული ინფრასტრუქტურის ნაწილში, რაც მნიშვნელოვანია. ინფრასტრუქტურა არ იყო მონოპოლიზირებული, საკმაოდ მრავალპროფილური იყო ეს მიმართულებები. განვითარდა როგორც ტურისტული ინფრასტრუქტურა, ისე სოციალური ინფრასტრუქტურა. ჩვენ დღეს აქ გვესწრება საინიციატივო ჯგუფის წევრები, რომლებიც „ოქროს ჩარდახის“ საკითხთან დაკავშირებით შეიკრიბნენ. მივიღეთ წერილები საინიციატივო ჯგუფისა და პროფესიული წრეების წარმომადგენლებისგან. კარგია, რომ

ამ პროცესის ადვოკატირებას ახდენენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. საკრებულო, იმ განცხადების შემდეგ აქტიურად ჩაერთო პროცესებში, მათ შორის უკუკავშირის ნაწილში. შედგა შეთანხმება. ჩვენ მოწვეული გვეყოლება პროექტის ავტორი. ხვალ გვექნება ეს შეხვედრა და სამოქალაქო ჯგუფსაც მოუწევს ჩართვა. მე მინდა, თქვენთან ერთად პირობა დავდო, რომ თქვენთან და საინიციატივო ჯგუფთან მექნება კომუნიკაცია მას შემდეგ, რაც სრულად მოვისმენ ამ საკითხის ირგვლივ მოსაზრებებს პროექტის ავტორისგან, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსგან, არქიტექტორთა საბჭოს წარმომადგენლებისგან. შემდეგ, აუცილებლად გვექნება შესაძლებლობა მოქალაქეების ჩართულობით განვიხილოთ ეს საკითხი და მივიღოთ გადაწყვეტილება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ა.ჩიხლაძე**: „ამ პროექტის მიზანია, ის რომ ამ მნიშვნელობის ისტორიული ძეგლი იქნეს მოვლილი, რეაბილიტირებული, რაც სიტუაციიდან გამომდინარე აუცილებელიც არის. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ძირითადად დასუფთავების სამუშაოები. შევაჩერეთ პროცესები ამ შეხვედრიდან გამომდინარე. ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას, რა მიმართულებით გავაგრძელებთ სამუშაოებს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „პროექტი შეძენილია ყველა კანონის დაცვით. კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ მოგვმართა თხოვნით, რომ მერიას მოეხდინა ამ პროექტის შეძენა. ამ პროექტის ავტორს ყველა დეტალი უნდა შეეთანხმებინა კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან. მერია ამ შემთხვევაში არის გამტარი. საკრებულოს იმპერატიული მოთხოვნა იყო, რომ თქვენ პროექტებს არ დაგვიფინანსებდით, თუ ჩვენ წელსვე არ მოვიპოვებდით იმ თანხას, რაც დაჭირდებოდა ამ ძეგლის რეაბილიტაციას. რადგან ორი ჯგუფისგან შემოვიდა ეს თხოვნა, რომ ჩაერთოს ეს ხალხი ამ პროცესში, პირველი რაც გავაკეთეთ, შევთანხმდით და ვინაიდან ნებართვის გამცემი არის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო, ის გამოგზავნის თავის წარმომადგენელს. ჩამოვა პროექტის ავტორიც. მოხდება არქიტექტორებთან შეხვედრა. ეს არ არის საინიციატივო ჯგუფთან შეხვედრა. ეს არის

მათი მოთხოვნების განხილვა. რა გადაწყვეტილებას მივიღებთ, ეცნობება მას და როგორც ბატონმა ირაკლიმ ბრძანა, ვაპირებთ ცალკე მათთან შეხვედრას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე:** „კარგი იქნებოდა აქ ყოფილიყვნენ ოპოზიციის წარმომადგენლები და მოესმინათ, თუ რას აკეთებს ეს სამსახური. ეს ადამიანები მუხლჩაუხრელად შრომობენ, თითქმის ყველა კორპუსის ყველა სადარბაზო აქვთ მოვლილი. 1-ელი სართულიდან მე - 9 სართულამდე ფეხდაფეხ სწავლობენ სიტუაციას, ლიფტის მუშაობა რომ შეამოწმონ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „რამდენიმე დღის წინ ვიმყოფებოდი ერთ-ერთ ობიექტზე და ამ ობიექტზე დილის 8 საათიდან იყვნენ ჩართული ამ სამსახურის თანამშრომლები. აი ასეთი დამოკიდებულება აქვთ ამ ადამიანებს საქმისადმი. მე მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ ანტონს. ისიც მთელი დღის განმავლობაში სამუშაო კაბინეტში არ იმყოფება.“

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის **ანგარიშის** თაობაზე **განკარგულების** პროექტი 2023 წლის 31 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის სათაურში სიტყვა: „სამსახურის“ შემდეგ, ჩაემატა სიტყვა: „ანგარიში“; განკარგულების პროექტის პრეამბულა გასწორდა რედაქციულად და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მ/წლის 31 მაისს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წელსა და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე–3 მუხლის მე–4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:“; განკარგულების პროექტის პირველი მუხლი გასწორდა რედაქციულად; სამსახურის 2022 წლისა და 2023 წლის ანგარიშები ჩამოყალიბდა ერთი დანართის სახით და დაერთო განკარგულების პროექტს; განკარგულების პროექტის დანართი გაიმართა სტილისტურად. ამასთან, გასწორდა მასში მოცემული**

თანხების ოდენობებში დაშვებული ხარვეზები), ცვლილებით, წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალიწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის **№192 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წელსა და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება № 192** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16**

მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 31 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ობიექტების ნუსხის „№461- №467“ პუნქტები შეიცვალა „№461-№466“ პუნქტებით; განკარგულების პროექტის დანართიდან ამოღებულ იქნა 466-ე პუნქტი (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა - ნაგებობით. ქალაქი ქუთაისი, ჰერმან გმაინერის ქუჩა №2-ის აღმოსავლეთით); აღნიშნულიდან გამომდინარე, განკარგულების პროექტის დანართის პუნქტები გადაინომრა თავიდან),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალიწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის **№193 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №193** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე - 6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 31 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ობიექტების ნუსხის „№203 - №213“ პუნქტები შეიცვალა „№203-2012“ პუნქტებით; განკარგულების პროექტის დანართიდან ამოღებულ იქნა 212 - ე პუნქტი (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა - ნაგებობით. ქალაქი ქუთაისი, ჰერმან გმაინერის ქუჩა №2-ის აღმოსავლეთით); აღნიშნულიდან გამომდინარე, განკარგულების პროექტის დანართის პუნქტები გადაინომრა თავიდან. განკარგულების პროექტის დანართის 212-ე პუნქტის გასწვრივ, მე-6 გრაფაში ჩაიწერა ქონების საფასურის ოდენობა: „63200.00“)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალიწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის **№194 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №194** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 31 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალიწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის **№195 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**განკარგულება №195** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-8 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,**

პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნეტლინკისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 31 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალიწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის **№196 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნეტლინკისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №196** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-9 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 31 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის პირველ მუხლში პუნქტები: „№258-დან №291“ შეიცვალა პუნქტებით:„№258-დან №290“; განკარგულების პროექტის პირველ მუხლში არსებული ქონების ჩამონათვალის ცხრილის 273-ე პუნქტის გასწვრივ, მე-4 გრაფაში გასწორდა საჯარო რეესტრის ამონაწერის ნომერი. კერძოდ, „№03.04.22.512“, შეიცვალა „№03.04.22.812-ით“; ამ ცხრილიდან ამოღებულ იქნა 288-ე პუნქტი (ქალაქი ქუთაისი, წმინდა ნინოს ქუჩა №2-ის დასავლეთით),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალიწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის **№197 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №197** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-10 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული**

პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 31 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტით ჩამოყალიბებული პირველი მუხლი გასწორდა სტილისტურად)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეათე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის

სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალიწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის **№198 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **განკარგულება №198** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-11 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 31 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალიწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის **№199 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**განკარგულება №199** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-12 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და**

უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 31 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალიწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის **№ 200 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №200** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, საკრებულოს სხდომაზე გაკეთდა **განცხადებები:**

მოქალაქე **მ.მუმლაძე**: „იმედი მაქვს, ჩემი განცხადება მიიქცევს თქვენს ყურადღებას და მაქსიმალური ჩართულობით მოხდება ამ საკითხზე შეთანხმება. „ოქროს ჩარდახი“ ეხება ჩვენს ქალაქს და ამ ქალაქის ყველაზე ძველ შენობას. მე არ მგონია, მერიაში შემოდიოდეს წერილები, რომელსაც 87 ადამიანი აწერდეს ხელს. 1600 ხელმომწერი ყავს ამ პეტიციას. ერთი შეხედვით, ვიდრე ექსპერტები ჩაერთვებოდნენ ამ ამბავში, „ოქროს ჩარდახის“ პროექტმა არ გამოიწვია დიდი მოწონება და ამას მოჰყვა მითქმა - მოთქმა. გარდა ამისა, ჩატარდა კვლევები და ეს რეკომენდაციები არ არის გათვალისწინებული პროექტში. როგორც ექსპერტები ამბობენ, მნიშვნელოვანია ამ ადგილზე ჩატარდეს კვლევა. ამბობენ, ამ ტერიტორიაზე ნაპოვნი იყო სამარხი და მოხდა ამ საკითხის მიჩქმალვა. ეს რამდენად შეესაბამება სიმართლეს ჩემთვის უცნობია, მაგრამ ეჭვები რომ გამოირიცხოს, საჭიროა, ადგილზე ჩატარდეს კვლევები. ხვალინდელ შეხვედრაზე მიიწვიეს მხოლოდ სამი ადამიანი. შეხვედრამდე 24 საათით ადრე მსგავსი სატელეფონო ზარი, ვფიქრობ, მიზანშეწონილი არ არის. ამ სამი ადამიანიდან ორი უშუალოდ თბილისშია. ამიტომ არ ვიცით, რამდენად მოახერხებენ ჩამოსვლას. 87 ადამიანიდან მხოლოდ სამი ადამიანის მოწვევა ამ შეხვედრაზე, არ გამოდის. ამიტომ მოხდეს დაინტერესებული პირების ჩართვა ამ საკითხებში, ვისაც აინტერესებს საკითხი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ხვალინდელი შეხვედრა მხოლოდ საინიციატივო ჯგუფთან შეხვედრაა თუ ამ სიაში რომელიმე არქიტექტორი ან მკვლევარია, მას დაურეკავენ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მას შემდეგ, რაც საკრებულო მაქსიმალურად გაერკვევა, საკრებულოს დარგობრივი კომისია დეტალურად გაივლის და ჩვენც გვეცოდინება, ქალბატონმა ანდრონიკაშვილმა რა დასკვნების საფუძველზე ჩაატარა ეს კვლევა, მას შემდეგ რაც გვექნება მაქსიმალური ინფორმაცია, იგივე კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს პროცედურების შესახებ, პირობას გაძლევთ, ჩვენ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის საკრებულოში, გვექნება საშუალება საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებთან შეხვედრის. ალბათ, 1600 ადამიანს ერთად ვერ შევხვდებით. თქვენ გექნებათ საშუალება, თქვენს წარმომადგენლებთან საკრებულოს ნებისმიერ ფორმატში ესაუბროთ. ეს საკითხი განვიხილოთ, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც გსურთ გახდეს საჯარო, მზად ვართ ამ თანამშრომლობისათვის. საკრებულო ამ პროცესის მიღმა არ დარჩება. პროცესებში ჩაერთო და ჩართულია დღესაც. მათ შორის, განცხადების საფუძველზე, რომელიც საინიციატივო ჯგუფმა წარმოადგინა, ამ ეტაპზე, „ოქროს ჩარდახში“ მიმდინარეობს დასუფთავების სამუშაოები. რაე სხვა კონსტრუქციული სამუშაოები - არა. ერთადერთი განხორციელდა გამაგრებითი სამუშაოები, რომ არ ჩამოიშალოს არსებული და არ დაზიანდეს.“

მოქალაქე **ი.ქორიძე**: „ბატონო ანტონ, რატომ არ პასუხობთ ჩემს ტელეფონს. შეიძლება ასეთი ადამიანი საკრებულოს სხდომას ესწრებოდეს? ეს თქვენ არ გეხებათ ბატონო ირაკლი. ეს ბატონ ანტონს ეხება. მე სპეციალურად მოვედი დღეს. 5 რიცხვში სრულდება ბინის ქირის ვადა. მუნიციპალიტეტისგან მივიღე შეურაცხყოფა, ქირას ხომ გიხდითო. მე ჩემს საცხოვრისში მინდა დაბრუნება, რომელსაც არავინ აკეთებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ამ შემთხვევაში, 5 რიცხვის ლოდინიც არ დაგჭირდებათ. თქვენ სანამ უზრუნველყოფილი არ იქნებით საცხოვრისით, მანამ ვერავინ ან არავინ არ

გამოგასახლებთ იმ საცხოვრისიდან, სადაც იმყოფებით. ამის პირობას გაძლევთ. თუ არ გაკმაყოფილებთ ის პირობები? “

მოქალაქე **ი.ქორიძე**: „საცხოვრისში კომუნალურ გადასახადებს არ ვიხდიდი. აქ მესამე თვეა გაზის ფული ვერ გადავიხადე, ჩამიჭრეს. იქ გაზი არ მქონდა და დენზე ვიყავით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ახალი საკითხი წამოიჭრა. იქ არ გქონდათ გაზი და აქ ვერ იხდით გაზის გადასახადს.“

მოქალაქე **ი.ქორიძე**: „ვერ გადავიხადე. 300 ლარამდეა გადასახადი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „მარტო ეს ორი ქალბატონია დაზარალებული და ქირით გასული საცხოვრისიდან?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „არა. სულ15 ოჯახია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „15 ოჯახია დაზარალებული. 15 ოჯახის ქირას უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობა. მე ვიყავი მომსწრე ჩვენი მერი, ვიცე მერი, სამსახურის უფროსები, ბატონი ირაკლის ჩართულობით მაქსიმუმს აკეთებდნენ, იმ წვიმიან დღეს, რომ ვეძებდით სასტუმროებს. მყისიერად მოხდა დაზარალებულების გადაყვანა. ეს გააკეთა ჩვენმა გუნდმა. მე მინდა გითხრათ თქვენ, რომ ეს გააკეთა არა ოპოზიციამ, არამედ იმ პოზიციამ, რომელმაც თქვენს გარდა იმ 13 ადამიანს გაუწია მყისიერი დახმარება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-19 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს მე-19 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-19 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

Irakli Shengelia

Digitally signed by Irakli Shengelia
DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE
Date: 2024.06.18 11:34:25 +04'00'

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.